



## ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა

თბილისი, 2016

კვლევა განხორციელდა PMC კვლევითი ცენტრის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროექტის „თანამედროვე კვლევითი პრაქტიკის გაძლიერება

აგრარული მიმართულებით რეგიონულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა მიერ და ხორციელდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მიერ, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან (CENN) და PMC კვლევით ცენტრთან პარტნიორობით. პროექტის ბენეფიციარები არიან: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კვლევის შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირის, GIPA-სა და CENN-ის შეხედულებას.



## შინაარსი

1. შესავალი .....	5
2. სექტორის მოკლე მიმოხილვა .....	6
2.1 ხახვის სექტორი მსოფლიოში .....	6
2.2 ხახვის სექტორი საქართველოში .....	8
3. კვლევის მიზანი .....	9
4. მეთოდოლოგია .....	10
5. კვლევის შეზღუდვები .....	12
6. კვლევის არეალი .....	13
6.1 საქართველოს ხახვის მწარმოებელი რეგიონების მოკლე აღწერა .....	13
6.2 სამცხე-ჯავახეთი .....	14
7. საქართველოს ხახვის სექტორის ანალიზი .....	18
7.1 ხახვის წარმოება საქართველოში .....	18
7.2 ხახვის სახეობები და ჯიშები .....	20
7.3 ხახვის ექსპორტ-იმპორტი .....	24
8. კვლევის შედეგები .....	27
8.1 სამცხე-ჯავახეთის ხახვის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები .....	27
9. ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა .....	30
9.1 ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის „გრიდ მეტი“ .....	30
9.2 ძირითადი საფეხურების აღწერა .....	31
9.3 ხახვის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები .....	32
9.4 ხარჯებისა და ნამატების ანალიზი .....	34
9.4.1 მწარმოელთა დანახარჯები და შემოსავლები .....	34
9.4.2 დამატებული ღირებულების ანალიზი .....	37
9.5 მთავარი მონაწილეები და მათი ურთიერთობები .....	38
9.5.1 ღირებულებათა ჯაჭვში ჰორიზონტალური კავშირები .....	38
9.5.2 ღირებულებათა ჯაჭვში ვერტიკალური კავშირები .....	39
10. სამცხე-ჯავახეთის ხახვის სექტორის „SWOT“ ანალიზი .....	41
11. ხახვის სექტორის პოტენციალი .....	42
11.1 დასაქმების პერსპექტივები .....	42

---

11.2 შემოსავლების გენერირება.....	42
11.3 გარემოზე ზეგავლენა.....	42
12. დისკუსია და რეკომენდაციები .....	44
12.1 ხახვის სექტორის მთავარი შეზღუდვები .....	44
12.2 რეკომენდაციები.....	45
ბიბლიოგრაფია .....	46
დანართი .....	47

## 1. შესავალი

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა რეგიონების განვითარებისთვის, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ სექტორშია დასაქმებული.

ამ კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი, რაც გულისხმობს ამ სექტორის დეტალურად შესწავლას და განვითარების სამომავლო პერსპექტირების განსაზღვრას.

საქართველოს ნიადაგი და კლიმატი ხელსაყრელია ხახვის წარმოებისთვის. ცხადია ხახვის მოყვანა დიდი მასშტაბით ყველა რეგიონში შეუძლებელია, მაგრამ რეგიონების უმეტესობაში ხახვის მოვლა-მოყვანა თუნდაც საკუთარი მოხმარებისთვის საკმაოდ აქტიურად ხდება. საქართველოში მოყვანილი ხახვი საკმაოდ რეზისტენტულია დაავადებების მიმართ და აქვს კარგი გემური მახასიათებლები.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მემცენარეობა ძირითადად კარტოფილით, მარცვლოვნებითა და ბოსტნეულით არის წარმოდგენილი. კარტოფილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის, ვინაიდან სამცხე-ჯავახეთი კარტოფილის უმსხვილესი მწარმოებელია. დღესდღეობით ხახვის მოყვანა გაცილებით ნაკლებად არის გავრცელებული რეგიონში, თუმცა ყოველწლიურად ხახვი სულ უფრო დიდ ფართობებზე ითესება.

## 2. სექტორის მოკლე მიმოხილვა

ხახვი უძველესი კულტურაა, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ 4 ათასი წლის წინ. მის სამშობლოდ წინა და შუა აზია ითვლება, საიდანაც ის შემდგომში თანდათანობით გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში. თავიანი ხახვი ორწლიანი ან სამწლიანი კულტურის სახით მოჰყავთ და გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე გადამუშავებული სახით.


თავისი შემადგენლობიდან გამომდინარე ხახვს ბევრი სამკურნალო თვისება აქვს. ხახვი მდიდარია რკინით, კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმით, ფტორით და სხვა მინერალებითა და ვიტამინებით. იგი ასევე მიეკუთვნება ანტიოქსიდანტების ჯგუფს. (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კლვევითი ცენტრი, 2015).

ხახვის მოყვანა შეიძლება პრაქტიკულად ყველა ტიპის ნიადაგზე. იგი არის საკმაოდ ყინვაგამძლე და არ საჭიროებს ბევრ მორწყვას. (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კლვევითი ცენტრი, 2015).

### 2.1 ხახვის სექტორი მსოფლიოში

სუარსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად მთლიანად მსოფლიოში ხახვის წარმოებამ 2013 წელს 87 მლნ. ტონას მიაღწია, რაც აღემატება წინა წლების წარმოების დონეს.


დიაგრამა 1. ხახვის მთლიანი წარმოება მსოფლიოში, 2009-2013 წელი



წყარო: სუარსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2016

2010 - 2014 წწ. საშუალო მონაცემებით ხახვის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნები არიან: ჩინეთი (22 მლნ. ტ.), ინდოეთი (17 მლნ.ტ.), აშშ (3 მლნ.ტ.), ირანი (2 მლნ.ტ.) და ეგვიპტე (2 მლნ.ტ.). რეგიონალურ კრილში კი წარმოება შემდეგნაირად გადანაწილებული:

დიაგრამა 2. ხახვის წარმოების რეგიონალური გადანაწილება მსოფლიოში, 2010-2014 წწ. საშუალო



წყარო: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2016

პროდუქტიულობის თვალსაზრისით კი, ყველაზე მაღალი მოსავლიანობა დაფიქსირდა შემდეგ ქვეყნებში:

ცხრილი 1. 2010-2014 წწ. საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰა)

ქვეყანა	ტონა/ჰა
ირლანდია	71.0
სამხრეთ კორეა	69.3
აშშ	60.8
ავსტრალია	60.8
ავსტრია	57.6

წყარო: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2016

ხახვის თესლის უმსხვისი მწარმოებელი არის შრი ლანკა.

ცხრილი 2. ხახვის ძირითადი იმპორტიორი და ექსპორტიორი ქვეყნები 2015 წელს (მოცულობის მიხედვით).

იმპორტიორი ქვეყნები	ექსპორტიორი ქვეყნები
მალაიზია	ჰოლანდია
აშშ	ინდოეთი
დიდი ბრიტანეთი	ჩინეთი
საუდის არაბეთი	ეგვიპტე
იაპონია	მექსიკა

წყარო: ITC – Trade Map

## 2.2 ხახვის სექტორი საქართველოში

საქართველოში ხახვი პრაქტიკულად ყველა რეგიონში იწარმოება.

### ცხრილი 3. საქართველოში ხახვის წარმოება (ათასი ტონა)

	2010	2011	2012	2013	2014	2015
წარმოება (ათასი ტ.)	19.0	14.6	17.8	17.0	18.1	12.7

წყარო: საქსტატი, 2016

ხახვის ძირითადი მწარმოებელი რეგიონებია: ქვემო ქართლი (70%), შიდა ქართლი (15%) და კახეთი (10%).

სამცხე-ჯავახეთში ყოველწლიურად ხახვი სულ უფრო მეტ ფერმერს მოჰყავს. თუ 2014 წელს 230 ჰა-ზე იყო დათესილი, გასულ, 2015 წელს, ხახვის ნათესებმა რეგიონის მასშტაბით 252 ჰა შეადგინა.



### 3. კვლევის მიზანი

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთში ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი ადგილობრივი სტუდენტებისა და პროფესორების კვლევაში ჩართვის გზით.

ანალიზის მიზანია:

- შესწავლილ იქნას ხახვის წარმოების პროცესი
- მოხდეს ხახვის ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეთა იდენტიფიცირება
- მონაწილეებს შორის კავშირების დადგენა
- ხარჯებისა და ნამატების ანალიზი
- დასაქმების პერსპექტივების განსაზღვრა
- ჯაჭვის მონაწილეთა შემოსავლების შეფასება

ანალიზის მთავარი მიზანია აღმოვაჩინოთ პერსპექტივები ხახვის წარმოებაში რათა საბოლოო ჯამში ჯაჭვში შეიქმნას მაქსიმალური დამატებული ღირებულება.

## 4. მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული ძირითადი მეთოდებია:

- სამაგიდე სამუშაოები: სტატიების, ანგარიშების, სტატისტიკური მონაცემების და ა.შ. ანალიზი
- საველე სამუშაოები: ინდივიდუალური ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები ნედლეულის მომწოდებლებთან, ხახვის მწარმოებლებთან (ინდივიდუალურ ფერმერებთან და კოოპერატივების წარმომადგენლებთან), შუამავლებთან, მომხმარებლებთან, საჯარო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან.

სულ ჩატარდა 18 ინდივიდუალური ინტერვიუ და 4 ფოკუს ჯგუფი.

კვლევაში გამოყენებულ იქნა ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის შემდეგი ხარისხობრივი ინსტრუმენტები:

- პრიორიტეტების განსაზღვრა ღირებულებათა ჯაჭვის შერჩევისას.
- ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა.
- მმართველობის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმების ანალიზი, რაც გულისხმობს იმ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების, რეგულაციებისა და სტანდარტების ანალიზს, რომელიც უკავშირდება ხახვის სექტორს.
- კავშირებისა და ნდობის ანალიზი, რაც მოიცავს ჯაჭვის მონაწილეებს შორის ფორმალური და არაფორმალური შეთანხმებების ანალიზს.
- ჯაჭვის მოდერნიზაციის შესაძლებლობების ანალიზი.

ასევე გამოყენებულ იქნა შემდეგი რაოდენობრივი ინსტრუმენტები:

- ხარჯებისა და ნამატების ანალიზი - ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ საფეხურზე შექმნილი დამატებითი ღირებულების განსაზღვრა ჯაჭვის თითოეული მონაწილისთვის.
- ჯაჭვში შემოსავლების გადანაწილების ანალიზი, რაც გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვადასხვა აქტივობებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების განსაზღვრას.
- ჯაჭვში დასაქმების პოტენციალის განსაზღვრა.

კვლევაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამმა პროფესორმა და სამმა სტუდენტმა. ლექტორებმა ჩატარეს სამაგიდე სამუშაოები, ხოლო სტუდენტებმა ინდივიდუალური ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები.

### სამაგიდე სამუშაოები

საოფისე სამუშაოები ძირითადად გულისხმობდა არსებული ლიტერატურის (ანგარიშების, სტატიების, სტატისტიკური მონაცემების) ანალიზს და ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორების მიერ.

### საველე სამუშაოები

2016 წლის თებერვალში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გამართული სამუშაო შეხვედრის დროს განისაზღვრა, რომ ღირებულებთა ჯაჭვის ანალიზი ჩატარდებოდა ხახვის მაგალითზე. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა 35 ადამიანი, მათ შორის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ფერმერები, კოოპერატივების წარმომადგენლები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

მონაწილეებმა საკვლევი კულტურის არჩევასა შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენეს:

- კულტურის საექსპორტო პოტენციალი.
- იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი.
- ინოვაციური მიდგომები.
- დივერსიფიკაციის საჭიროება.
- კულტურის რელევანტურობა როგორც სამცხესთვის, ასევე ჯავახეთისთვის.
- რეგიონის კლიმატური პირობები.
- რეგიონის სოფლის მეურნეობის ტრადიციები.
- შენახვა-დასაწყობების პირობები და ა.შ.

კვლევის საგნის შერჩევის შემდეგ ჩატარდა ინდივიდუალური ინტერვიუები ხახვის მწარმოებელ ფერმერებთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. საწყის ეტაპზე ჩატარდა 12 ინტერვიუ.

2016 წლის ივნისში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები ფერმერებთან. სულ ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი. აქედან სამი ჩატარდა სამცხეში, ხოლო ერთი - ჯავახეთში. გენდერული თვალსაზრისით, ორი ფოკუს ჯგუფი იყო შერეული, მესამე მოიცავდა მხოლოდ ქალბატონებს, ხოლო მეოთხე მხოლოდ მამაკაცებს.

კვლევის ბოლო ეტაპზე დამატებით ჩატარდა 6 ინდივიდუალური ინტერვიუ.

## 5. კვლევის შეზღუდვები

კვლევას აქვს რამდენიმე შეზღუდვა:

- ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მცირე რაოდენობა იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონში ხახვი ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენება და მცირე ფართობებზე ითესება;
- შერჩეული პორდუქტიდან გამომდინარე კვლევის შედეგები უფრო რელევანტურია სამცხეს რეგიონისთვის და შესაძლოა ამ ეტაპზე ნაკლებად მოიცავდეს ჯავახეთს, ვინაიდან ჯავახეთში არ ხდება ხახვის აქტიურად მოყვანა კლიმატური პირობებიდან გამომდინარე.

## 6. კვლევის არეალი

### 6.1 საქართველოს ხახვის მწარმოებელი რეგიონების მოკლე აღწერა

საქართველოს ნიადაგი და კლიმატი ხელსაყრელია ხახვის წარმოებისთვის. საქართველოში მოყვანილი ხახვი საკმაოდ რეზისტენტულია დაავადებების მიმართ და აქვს კარგი გემური მახასიათებლები. ასევე ხახვის სხვადასხვა ჯიშები ადვილად ახდენენ ადაპტაციას საქართველოს ნიადაგსა და კლიმატთან.

საქართველოში ხახვი ძირითადად იწარმოება ქვემო ქართლში (70%), შიდა ქართლსა (15%) და კახეთში (10%).

#### ქვემო ქართლი

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვემო ქართლის რეგიონის განვითარებაში. რეგიონში არსებული კლიმატური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ წელიწადში მოსავლის აღება მოხდეს 2-3-ჯერ, რაც უზრუნველყოფს ამ რეგიონის მაღალ კონკურენტუნარიანობას სხვა რეგიონებთან შედარებით. (ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის)

რეგიონში მემცენარეობაში ჩართული ფერმერები ძირითადად საშუალო ფერმერები არიან, რომლებიც თავის ნაწარმს ადგილობრივ ბაზარზე ყიდნიან. ქვედა და საშუალო ზონაში ძირითადად იწარმოება ბოსტნეული, კარტოფილი, მარცვლეული, ხილი, ყურძენი და ბაღჩეული კულტურები, ხოლო ზედა ზონაში ძირითადი ადგილი კარტოფილისა და მარცვლეულის წარმოებას უკავია. (ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის)

#### შიდა ქართლი

შიდა ქართლის რეგიონი განსაკუთრებით გამორჩეულია მეხილეობით. იგი ქვეყნის მასშტაბით 1-ელ ადგილზეა ხილის უმეტესი სახეობების წარმოებით. შიდა ქართლი წლების განმავლობაში სტაბილურად ინარჩუნებს პირველობას ისეთი კულტურების წარმოების შემთხვევაში როგორცაა ვაშლი, ქლიავი, ბალი და ალუბალი. (შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის).

გარდა ხილისა, რეგიონში აქტიურად იწარმოება ბოსტნეული. შიდა ქართლი მესამე ადგილზეა ბოსტნეულის წარმოებით ქვემო ქართლისა და კახეთის შემდეგ. რეგიონში წარმოებული ბოსტნეულიდან შეიძლება გამოვყოს კარტოფილი, ჭარხალი, კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, ბადრიჯანი და ა.შ.


რეგიონის კლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგი განაპირობებს სოფლის მეურნეობის მაღალ პოტენციალს. გარდა ამისა ქვემო ქართლი გამოირჩევა სარწყავი მიწების დიდი ფართობით, რაც ასევე უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას ამ რეგიონში. (შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის).

## კახეთი

კახეთი მევენახეობა-მელვინეობის უმძველესი რეგიონია, სადაც კონცენტრირებულია ქვეყნის ვენახების 70%-მდე. ამასთანავე კახეთის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მარცვლეულის წარმოებასაც. კახეთი პირველ ადგილზეა ხორბლის წარმოებით.

კახეთი ასევე ღიდერობს ბაღჩეული კულტურების (მარწყვი, საზამთრო, ნესვი და გოგრა) წარმოების შემთხვევაში. ეს კულტურები კი მაღალშემოსავლიან კულტურებად ითვლებიან, რაც რეგიონის პოტენციალზე მიანიშნებს. ზოგადად ბოსტნეულის წარმოებით კახეთი მეორე ადგილზეა ქვემო ქართლის შემდეგ. (კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის).

სურათი 1. ხახვის წარმოების ზონები და რეგიონები საქართველოში



აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე არც ერთი ზემოთგანხილული რეგიონისთვის ხახვი არ წარმოადგენს ძირითად კულტურას წარმოების თვალსაზრისით.

## 6.2 სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, რომელიც ამ კვლევის ძირითად საკვლევ არეალს წარმოადგენს, შედგება ექვსი მუნიციპალიტეტისგან და ესაზღვრება თურქეთსა და სომხეთს, რაც ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას უწყობს ხელს.



სურათი 2. საქართველოს რუკა



წყარო: <http://betravel.ge/index.php?hide=gereg&lang=ge>

2014 წლის აღწერის თანახმად რეგიონში ძირითადად სომხები ცხოვრობენ (49.5%), ხოლო დანარჩენი მოსახლეობა შედგება ქართველებისგან (48.5%), რუსებისგან (1.1%) და სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან (0.9%).

სურათი 3. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რუკა



წყარო: [http://saqartvelosmta.blogspot.com/p/blog-page\\_9836.html](http://saqartvelosmta.blogspot.com/p/blog-page_9836.html)

რეგიონი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე, რომელზეც 2006-2011 წლებში რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების 32% მოდიოდა. მწარმოებელთა უმეტესობა წარმოადგენს მცირე საოჯახო მეურნეობებს, რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის დაახლოებით 90%-ს. ამ მეურნეობებიდან 73% აწარმოებს პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო დანარჩენი 27% არის კომერციული მეურნეობები, რომელთათვის სოფლის მეურნეობა არის შემოსავლის ძირითადი წყარო. რეგიონი გამოირჩევა მეურნეობების კომერციალიზაციის მაღალი დონით სხვა რეგიონებთან შედარებით. მწარმოებლობაც მეცხოველობაში და მემცენარეობაში უფრო მაღალია ვიდრე საშუალო მაჩვენებელი ქვეყნისთვის. (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2024 წლებისთვის).

მემცენარეობა წარმოდგენილია ძირითადად კარტოფილით, მარცვლოვნებითა და ბოსტნეულით. რეგიონი არის კარტოფილის უმსხვილესი მწარმოებელი საქართველოში.

**ცხრილი 4. სამცხე-ჯავახეთის მრავალწლიანი კულტურების წარმოების წილი საქართველოს მთლიან წარმოებაში.**

	კარტოფილი	ბოსტნეული	ქერი
წარმოების მოცულობა (ათასი ტონა)	115.3	16.9	14.4
% წილი ქვეყნის მთლიან მოცულობაში	53.3	8.9	45.7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, 2014

მეცხოველეობა ასევე მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. სამცხე-ჯავახეთში არსებული პირუტყვი შეადგენს 9-14% საქართველოში არსებული პირუტყვის მთლიანი რაოდენობიდან. ასევე განვითარებულია მეფუტკრეობა და მეცხვარეობა.

**ცხრილი 5. მეცხოველეობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.**

	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ცხვარი	ფუტკარი
რაოდენობა (ათასი სული)	156.7	80.5	38.4
% წილი ქვეყნის მთლიან მოცულობაში	12.3	9.3	9.5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, 2014

სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია მოკლე სავაჭრო პერიოდი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე. ასევე რეგიონში არ არსებობს თანამედროვე ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა არის ძირითადად ექსტენსიური, წარმოების ტექნოლოგია კი მოძველებული. შეიმჩნევა კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა და შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსებზე. (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2024 წლებისთვის).

ამავდროულად რეგიონს აქვს უპირატესობები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პერსპექტიულ დარგად ქცევა. ეს უპირატესობებია: რეგიონის გეოგრაფიული განლაგება, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, სოფლის მეურნეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა რეგიონში. ერთ-ერთ ასეთ საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს 1990 წელს



დაფუძნებული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც სთავაზობს სტუდენტებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს. (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2024 წლებისთვის).

სხვა რეგიონების მსგავსად, სამცხე-ჯავახეთშიც შეიმჩნევა კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენების ნაკლებობა. სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მცირდება სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო (მაგ. მიგრაცია). ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით სამცხე-ჯავახეთიდან სტუდენტები უფრო დაბალ ქულებს იღებენ სხვა რეგიონებთან შედარებით. სასწავლო პროგრამები მოძველებულია და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მიმდინარე კვლევაში ადგილობრივი უნივერსიტეტის ლექტორებისა და სტუდენტების ჩართულობა ხელს შეუწყობს კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვას სასწავლო პროცესში.

## 7. საქართველოს ხახვის სექტორის ანალიზი

### 7.1 ხახვის წარმოება საქართველოში

საქართველოში ხახვის მოყვანა ხდება ორი მეთოდით: თესლის უშუალოდ გრუნტში თესვით ან ხახვის ბოლქვების (კვიჭიჭების, ჭილის) თესვით. თესლით ხახვის მოყვანა არის ინტენსიური მეთოდი, ხოლო ჭილით თესვა არის ექსტენსიური მეთოდი. ხახვის თესლით მოყვანა საქართველოს მასშტაბით უფრო გავრცელებულია, თუმცა დასავლეთში ბოლქვის თესვით მოყვანა უფრო ტრადიციული.

ამ მეთოდის გამოყენება დასავლეთ საქართველოში განპირობებულია კლიმატური პირობებით. ვინაიდან დასავლეთში შემოდგომის დასაწყისი უხვი ნალექით ხასიათდება, თესლით მოყვანის შემთხვევაში, ხახვი ვერ ასწრებს დამწიფებას და ავადდება ჭრაქით. ბოლქვები კი შედარებით ადვილად იტანენ ცუდ ამინდებს და მოსავალიც საბოლოო ჯამში ადრე მოდის. ამიტომაც ბოლქვის თესვით ხახვის მოყვანა უფრო გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. (გაზეთი “აგრომანი”)

ბოლქვით (ჭილით) ხახვის თესვა ორეტაპიანი პროცესია. პირველ წელს თესავენ ხახვის თესლს და ღებულობენ ჭილს, რომელსაც შემდეგ ინახავენ ზამთრის განმავლობაში და ადრე გაზაფხულზე თესავენ საბოლოო პროდუქტის (სასურსათო ხახვის) მისაღებად (წყარო: გაზეთი “აგრომანი”). შესაძლებელია ასევე პირდაპირ ბოლქვების (ჭილის) შექმნა და დარგვა. თუმცა ერთგვაროვანი, მაღალი ხარისხის ჭილის მოძიება საკმაოდ რთულია.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ ხახვი გვიან შემოდგომაზე, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე ითესება უშუალოდ ღია გრუნტში. თესვამდე ხდება ნიადაგის დამუშავება, ხვნა და კულტივაცია-დაფარცხვა. (გაზეთი “აგრომანი”)

დასავლეთში უხვი ნალექების გამო, ხახვი არ საჭიროებს მორწყვას, ხოლო აღმოსავლეთში მორწყვა აუცილებელია. მორწყვის სიხშირე დამოკიდებულია რეგიონზე. ასე შიდა ქართლში ხახვის მორწყვა 3-4 ჯერ არის საჭირო. ქვემო ქართლში, კახეთში და თბილისის საგარეუბნო ზონაში ხახვის ნათესი ფართობის მორწყვა უფრო ხშირად არის საჭირო და მორწყვის რაოდენობა 6-10-ს აღწევს. მორწყვას წყვეტენ ხახვის შემოსავლამდე 3-4 კვირით ადრე, რათა არ შეფერხდეს ბოლქვების მომწიფება და შენახვისუნარიანობა. მორწყვა შესაძლოა განხორციელდეს მიშვებით ან წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით. (გაზეთი “აგრომანი”)

მოსავალს იღებენ მშრალ ამინდში. ამოღებული ხახვი იყრება ნაკვეთში რამდენიმე დღით, შრება და ფოჩებისგან იწმინდება. შემდეგ ხდება საწყობში (ფარდულში) მიტანა და დასაწყობება. ჯიშებიდან და რეგიონებიდან გამომდინარე მოსავალი შემოდის 15 ივლისიდან 15 სექტემბრამდე. (გაზეთი “აგრომანი”)

### ხახვის მოყვანისთვის ხელსაყრელი პირობები

ხახვის მოყვანისთვის ოპტიმალური პირობებია:

- ჰაერის ტემპერატურა 15-25 გრადუსი ცელსიუსი
- ჰაერის დაბალი შეფარდებითი ტენიანობა (60-70%)
- ნიადაგის მაღალი ტენიანობა
- სინათლის მაღალი ინტენსივობა
- სარეველებისგან სუფთა ნაკვეთი
- მინერალური სასუქების გამოყენება
- საუკეთესო წინამორბედები: კომბოსტოსნაირი მცენარეები, კიტრი, პომიდორი, კარტოფილი, პარკოსანი კულტურები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხახვის მოყვანისთვის ოპტიმალური ტემპერატურაა 15-25 გრადუსი ცელსიუსით. ხახვის კულტურის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ მოზრდილ მცენარეს შეუძლია გაუძლოს -7 გრადუს ყინვას. ადრეულ ეტაპზე, ყინვის 2-3 გრადუსი არ არის დამაზინებელი მცენარისთვის, თუმცა 4-5 გრადუსი აზიანებს ფოთოლს. ხახვი ასევე კარგად იტანს სიციხეს და 35 გრადუსზე მეტი სიციხის გადატანა შეუძლია. (გაზეთი "აგრომანი")

ხახვისთვის ხელსაყრელია ჰაერის დაბალი (60-70%) და ნიადაგის მაღალი ტენიანობა. ნიადაგის დაბალი ტენიანობის დროს თესლი გვიან აღმოცენდება, თავად მცენარეც სუსტია და მოსავალიც შედარებით მცირეა. მნიშვნელოვანია ნიადაგი იყოს ჰუმუსით მდიდარი. მყავა ნიადაგები არ გამოდგება ხახვისთვის. ხახვი ასევე არ საჭიროებს ნიადაგში ბევრი სასუქის შეტანას, თუმცა სასუქების შეტანა მაინც საჭიროა. ასე ნიადაგში ჰექტარზე შეაქვთ 30-40 ტ გადამწვარი ნაკელი და მინერალური სასუქები. ზრდის პირველ პერიოდში ის განსაკუთრებით მოითხოვს აზოტსა და კალიუმს, ხოლო ბოლქვების ფორმირების პერიოდში კალიუმსა და ფოსფორს, რომლებიც აჩქარებენ ბოლქვების მომწიფებას და აუმჯობესებენ შენახვის უნარიანობას. სასუქების ღრმად შეტანა არ შეიძლება, ვინაიდან ხახვის ფესვთა სისტემა განლაგებულია ნიადაგის ზედა ფენებში. (გაზეთი "აგრომანი").

ხახვს ესაჭიროება სინათლის მაღალი ინტენსივობა განსაკუთრებით დასაწყისში, თესვის დროს. ასევე მნიშვნელოვანია რომ ნაკვეთი არ იყოს დასარეველიანებული. ხახვს უჭირს სარეველებთან ბრძოლა და ამიტომ ხახვი უნდა დაითესოს ნათელ, დაუჩრდილავ და სარეველებისაგან სუფთა ნაკვეთზე. არახელსაყრელი პირობებისას (გვალვა, ნიადაგში საკვები ნივთიერების ნაკლებობა, ნათესების სარეველებით გადაფარვა) მცენარის ფოთლების ზრდა ფერხდება და ნაადრევად იწყება ბოლქვების ფორმირება. (გაზეთი "აგრომანი"). თუკი მცენარეზე აღარ წარმოიქმნება ფოთლები და დაიწყო ბოლქვების ჩამოყალიბება, ამ პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელია. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია ხახვის მოყვანის პირობების მკაცრად დაცვა განსაკუთრებით განვითარების პირველი 70-80 დღის პერიოდში. (გაზეთი "აგრომანი")

რაც შეეხება თესლბრუნვას, ხახვის საუკეთესო წინამორბედები არიან კომბოსტოსნაირი მცენარეები, კიტრი, პომიდორი, კარტოფილი, პარკოსანი კულტურები. ზედიზედ ერთსა და იმავე ნაკვეთზე ხახვის თესვა არ შეიძლება, რადგან ეს იწვევს ხახვის დაავადებას. ხახვი იმავე ფართობზე უნდა დაბრუნდეს 2-3 წლის შემდეგ.

თავად ხახვი საუკეთესო წინამორბედა სხვა კულტურებისათვის გარდა ნიორისა, რადგან მათ საერთო დაავადებები და მავნებლები ჰყავთ.

## 7.2 ხახვის სახეობები და ჯიშები

ფერის მიხედვით გამოყოფენ ხახვის შემდეგ სახეობებს:

- წითელი
- თეთრი
- მუქი ჩალისფერი
- ღია ჩალისფერი

ბუდიანობის ანუ წარმოქმნილი ბოლქვების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ სახეობებს:

- მცირე (ერთი ან იშვიათად ორი ბოლქვი)
- საშუალო (ორიდან ოთხ ბოლქვამდე)
- მრავალბუდიანი (ხუთზე მეტი)

ბუდიანობაზე დიდ გავლენას ახდენს წარმოების პირობები და ჭილის ზომა. რაც უფრო დიდია ჭილი, მით მეტია ბუდიანობა. მასზე უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის დაბალნაყოფიერება და დაბალი ტენიანობა.

გემოს მიხედვით გამოარჩევენ შემდეგ სახეობებს:

- ცხარე
- ნახევრადცხარე
- ტკბილი

ცხარე ჯიშები შეცავენ დიდი რაოდენობით ეთერზეთებს და შაქარს და გამოირჩევიან კარგი შენახვის უნარიანობით.

ხახვის ჯიშების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ ცხრილშია მოყვანილი და უფრო დეტალური მონაცემები მოყვანილია დანართის ცხრილში A1.

ცხრილი 6. ხახვის ჯიშები

ჯიშის სახელწოდება	წარმოშობა	დახასიათება
ქართლის – <i>Allium cepa</i> ‘Kartlis’	შიდა ქართლის რეგიონი. დარაიონებულია 1962 წლიდან.	საშუალო საგვიანო ჯიში. სავეგეტაციო პერიოდი 110–120 დღე. უხვმოსავლიანია სარწყავ პირობებში (20ტ/ჰა). ნახევრად ცხარეა და საკმაოდ გამძლეა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ.
სხვილისის ხახვი – <i>Allium cepa</i> ‘Skhvilisis Khakvi’	სამცხე–ჯავახეთის რეგიონი, ახალციხე. დარაიონებულია 1947 წლიდან.	სავეგეტაციო პერიოდი - 80 დღე. მოდის მთიან, გრილ რაიონში. გამოირჩევა ხანგრძლივი შენახვის უნარიანობით. ნახევრად ცხარე ჯიში. საკმაოდ გამძლეა მავნებლებისა და დაავადებების მიმართ. სხვილისის ხახვი ფართოდ გავრცელებული აბორიგენული ჯიშია ახალციხის რაიონში. საქართველოს სხვა რაიონებშიც ვრცელდება. ეს ხახვი ცნობილია “სუფლისისა” და ”ახალციხის” სახელწოდებითაც.
მარნეულის მრავალბოლქვიანი – <i>Allium cepa</i> ‘Marneulis Mravalbolkviani’	ქვემო ქართლის რეგიონი, მარნეული. გავრცელებულია ქვემო ქართლის რაიონების სარწყავ ზონაში, ძირითადად მარნეულსა და გარდაბანში.	საგვიანო ჯიში, ბოლქვის დასამწიფებლად მოითხოვს გრძელ და თბილ დღეებს. ძალიან ცხარეა, ხანგრძლივად ინახება და საკმაოდ გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ.
ლიზი – <i>Allium cepa</i> ‘Lizi’	მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, წეროვანი. დარეგისტრირებულია 2012 წელს.	საშუალო–საგვიანო ჯიში. სავეგეტაციო პერიოდი - 100-105 დღე. ნახევრად ცხარე. გამძლე მავნებლებ-დაავადებათა მიმართ. ბოლქვის მოსავლიანობა სარწყავში მაღალ აგროფონზე არის 30-40 ტ/ჰა.
კახური ბრტყელი- <i>Allium cepa</i> ‘Kakhuri Brtkeli’	კახეთის რეგიონი. დარაიონებულია 1961 წლიდან.	საადრეო ჯიში. სავეგეტაციო პერიოდი - 80-85 დღე. სასაქონლო მოსავლიანობაა 19–20 ტ/ჰა. დაავადებებისა და მავნებლების მიმართ საკმაოდ გამძლეა. საქართველოში გავრცელებულ ჯიშებს შორის ყველაზე ტკბილი ხახვია.

<b>ვარდისფერი 32- Allium cepa ‘ Vardisperi 32’</b>	ქვემო ქართლის რეგიონი, გარდაბანი. დარეგისტრირებულია 2012 წელს ქვემო ქართლის და მცხეთის რაიონებში გასავრცელებლად.	საგვიანო ჯიში. სავეგეტაციო პერიოდი - 130-135 დღე. გამოირჩევა კარგი შენახვისუნარიანობით. ნახევრად ცხარეა. სარწყავ პირობებში, მაღალ აგროფონზე, ბოლქვის მოსავლიანობაა 27-29 ტ/ჰა. მავნებლებ-დაავადებათა მიმართ საშუალოდ გამძლე.
<b>ვანის ხახვი – Allium cepa ‘ Vanis Khakvi’</b>	იმერეთის რეგიონი. ვანი. გავრცელებულია ვანისა და იმერეთის დანარჩენ რაიონებში. ასევე კახეთის თბილ რაიონებში.	საშუალო საადრეო ჯიში. გამოირჩევა უხვმოსავლიანობით და საუკეთესო ხარისხის ბოლქვით. ეკუთვნის ნახევრად ტკბილი ხახვების ჯგუფს. გამოირჩევა საშუალო შენახვისუნარიანობით და გამძლეობით სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე საქსტატი არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რამდენი ხახვი იწარმოება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. აქედან გამომდინარე კვლევაში გამოყენებულია სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უახლესი ოპერატიული მონაცემები.

**ცხრილი 7. ხახვის მოსავალი, ფართობები და მოსავლიანობა 1 ჰა-ზე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, 2015 წელი**

#	მუნიციპალიტეტი	სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2015 წელს მიღებული ხახვის მოსავალი, ფართობები და მოსავლიანობა 1 ჰა-ზე		
		ფართობი (ჰა)	მოსავალი (ტონა)	საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა)
1	ახალციხე	117.00	1872.00	16.00
2	ასპინძა	46.00	915.00	19.89
3	ახალქალაქი	1.20	46.50	38.75
4	ადიგენი	60.00	1392.50	23.21
5	ბორჯომი	12.20	157.00	12.87
6	ელიაწმინდის ადმინისტრაციული ერთეული	16.10	43.30	2.69
<b>სულ</b>		<b>252.50</b>	<b>4426.30</b>	<b>17.53</b>

წყარო: სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური

ზემოთმოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ 2015 წელს რეგიონში ხახვის წამყვანი მწარმოებელი იყო ახალციხის მუნიციპალიტეტი და მას მცირედით ჩამორჩებოდა ადიგენი. თუმცა ყველაზე მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტი.

რაც შეეხება წლევიანდელ მონაცემებს, ხახვის ნათესი ფართობებით კვლავ ახალციხე ლიდერობს (119 ჰა), თუმცა ხახვის ნათესი ფართობების წილი მთლიანი რეგიონის ნათეს ფართობებში საკმაოდ დაბალია და 0,71%-ის ტოლია.

**ცხრილი 8. ნათესი ფართობები, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით**

#	მუნიციპალიტეტი	2016 წლის გაზაფხულზე დათესილი ფართობები (ჰა) 1 ივლისის მდგომარეობით (ჰა)		
		სულ (ჰა)	მათ შორის ხახვი (ჰა)	პროცენტული წილი მთლიანი ნათესი ფართობიდან (ჰა)
1	ახალციხე	5539.0	119.0	2.15%
2	ახალქალაქი	17683.0	2.0	0.01%
3	ასპინძა	2084.0	43.0	2.06%
4	ბორჯომი	1166.1	13.2	1.13%
5	ადიგენი	3300.0	65.0	1.97%
6	ნინოწმინდა	9182.0	34.0	0.37%
	<b>სულ</b>	<b>38954.1</b>	<b>276.2</b>	<b>0.71%</b>

წყარო: სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური

აქვე წარმოდგენილია ხახვის მოსავლის საპროგნოზო მონაცემები.

**ცხრილი 9. ხახვის მოსავლის საპროგნოზო მონაცემები (ტ.), სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით**

#	მუნიციპალიტეტი	ხახვის მოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები (ტონებში)
1	ახალციხე	2023.0
2	ახალქალაქი	40.0
3	ასპინძა	1075.0
4	ბორჯომი	144.1
5	ადიგენი	1950.0
6	ნინოწმინდა	678.0
	<b>სულ</b>	<b>5910.1</b>


წყარო: სამცხე-ჯავახეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური



### 7.3 ხახვის ექსპორტ-იმპორტი

საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა, რაც დასტურდება შედარებით დაბალი თვითურუნველყოფის კოეფიციენტითა და მაღალი იმპორტით. როგორც ბევრი სხვა საკვები პროდუქტის შემთხვევაში, ხახვის იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება მის ექსპორტს.


**დიაგრამა 3. ახალი ან გაცივებული თავიანი ხახვისა და ხახვი-შალოტის ექსპორტ-იმპორტი ათასი აშშ დოლარი, 2010-2016 წწ.**



წყარო: საქსტატი



დიაგრამა 4. ხახვის საექსპორტო ბაზრები და იმპორტიორი ქვეყნები, 2015 წელი



წყარო: საქსტატი

საქართველოს საექსპორტო ბაზარი არც ისე დივერსიფიცირებულია და ძირითადად შემოიფარგლება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებით. რასაც ვერ ვიტყვით საიმპორტო ბაზრებზე, რომლებიც საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. თუმცა ამ მრავალფეროვნების მიუხედავად ხახვის იმპორტი ძირითადად თურქეთიდან ხდება.


ცხრილი 11. ქართული ხახვის საექსპორტო ბაზრები და იმპორტიორი ქვეყნები, 2014-2015 წწ.

საექსპორტო ბაზრები 2014-2015 წელს	იმპორტიორი ქვეყნები 2014-2015 წელს
<ul style="list-style-type: none"> <li>• აზერბაიჯანი</li> <li>• სომხეთი</li> <li>• ბელარუსი</li> <li>• ყაზახეთი</li> <li>• მალტა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ირანი</li> <li>• იტალია</li> <li>• ყაზახეთი</li> <li>• კენია</li> <li>• ლუქსემბურგი</li> <li>• მოლდოვა</li> <li>• ნიდერლანდები</li> <li>• რუსეთი</li> <li>• თურქეთი</li> <li>• უკრაინა</li> <li>• ეგვიპტე</li> </ul>

წყარო: საქსტატი

ვინაიდან ხახვის იმპორტი გაცილებით აღემატება მის ექსპორტს, საინტერესოა იმპორტის დინამიკა წლების მიხედვით.

დიაგრამა 5. იმპორტული ხახვის რაოდენობა და ღირებულება, 2011-2015 წწ.



წყარო: ITC – Trade Map

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს იმპორტული ხახვის რაოდენობაც და ღირებულებაც 2014 წელთან შედარებით შემცირდა, თუმცა თუ დავაკვირდებით მოცემული წლების მონაცემებს, დავინახავთ, რომ მონაცემებში რაიმე კონკრეტული ზრდის ამ კლების ტენდენცია არ შეინიშნება.

## 8. კვლევის შედეგები

8.1 სამცხე-ჯავახეთის ხახვის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი მონაწილეები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

- **თესლის, მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების და ა.შ. მომწოდებლები.**

ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან აგრო მაღაზიები, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მუნიციპალიტეტში. ამ მაღაზიებში გარდა საჭირო პროდუქციისა, ფერმერები ასევე იღებენ უფასო კონსულტაციებს ხახვის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებით.

რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მოთამაშეს წარმოადგენს საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისი “RAS”, რომელიც ასევე არის რეგიონში ხახვის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი.

აგრო მაღაზიები ძირითადად არის მცირე ზომის და ადგილობრივი.

- **მცირე ფერმერები, რომლებიც საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ ხახვს.**

რეგიონში ხახვის მწარმოებელთა უმეტესობა სწორედ ამ ჯგუფს მიეკუთვნება. თითქმის ყველა შინამეურნეობას აქვს დათესილი ხახვი საკუთარი მოხმარებისთვის. გამოკითხულთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ არ მოჰყავს ხახვი კომერციული მიზნით. ოჯახების უმეტესობას ხახვი მოჰყავს 0,1 ჰა-ზე და ზამთარში ხახვის ყიდვა უწევთ ბაზარში. პირადი მოხმარებისთვის ხშირ შემთხვევაში ითესება 0,1 ჰა-ზე და საშუალოდ 0,2-0,3 ჰა-ზე. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანახმად მაგალითად სოფელ ტყემლანაში მოიყვანეს 1 ჰა-ზე. იგივე მოხდა სოფელ სხვილისშიც.

- **საშუალო და მსხვილი კომერციული ფერმერები.**

მიუხედავად იმისა, რომ ფერმერთა უმეტესობა მცირე მეურნეობებს წარმოადგენს, რეგიონში არსებობს რამდენიმე შედარებით მსხვილი მწარმოებელი, რომელსაც გასაყიდად მოჰყავს ხახვი. ამ კატეგორიის მწარმოებლებს ხახვი მოჰყავთ 0,5 ჰა-დან 1,5 ჰა-მდე ფართობზე. რესპონდენტებს შორის იყვნენ ხახვის ისეთი მწარმოებლები ვინც 2,5 ჰა - 3,5 ჰა-ზე თესავს ხახვს და ყიდის ადგილობრივად.

- **შუამავლები**

შუამავლები წარმოადგენენ ხახვის გასაღების ძირითად არხს. მწარმოებელთა უმეტესობა სწორედ შუამავლების მეშვეობით ყიდის ხახვს. ერთმა შუამავალმა შეიძლება დღეში საშუალოდ 5 ტონა ხახვი შეიძინოს ადგილზე ერთი ფერმერისგან. თუმცა არიან ფერმერები ვინც თავად ბაზარში ყიდის ხახვს ყოველგვარი შუამავლის გარეშე.

- **საცალო მოვაჭრეები ბაზარში**

შუამავლები ხახვის რეალიზაციას ახდენენ სხვადასხვა ქალაქების ბაზრებში. სამცხეში მოყვანილი ხახვი მიაქვთ ჯავახეთში, ქუთაისში, თბილისში და ა.შ.

- **სუპერმარკეტები**

ხახვის გასაღების კიდევ ერთ არხს წარმოადგენს სუპერმარკეტები. გამოკითხულთა შორის არც ერთ მწარმოებელს არ აქვს კავშირი სუპერმარკეტთან ამ ეტაპზე. რესპონდენტების თქმით, სუპერმარკეტები არ სთავაზობენ ფერმერებს მისაღებ პირობებს და ამიტომ ფერმერებს ურჩევენიათ გაყიდონ თავისი პროდუქცია შუამავალზე.


თუმცა სუპერმარკეტებში მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს როგორც იმპორტული ასევე ადგილობრივი ხახვი.

- **ადგილობრივი და უცხოელი მომხმარებელი**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ქართული ხახვი მცირე რაოდენობით გადის ექსპორტზე. საექსპორტო ხახვი ძირითადად ქვემო ქართლში იწარმოება, ვინაიდან ეს რეგიონი ლიდერობს ხახვის წარმოებაში. სამცხე-ჯავახეთის ხახვი ძირითადად ადგილობრივად მოიხმარება და შედარებით მცირე ნაწილი სხვა რეგიონებში იყიდება შუამავლების მეშვეობით. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონში წარმოებული ხახვი რეგიონის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს სრულად და ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით იგრძნობა დეფიციტი, რომელიც ივსება ძირითადად ქვემო ქართლის ან თურქული ხახვით. სწორედ ქვემო ქართლის ხახვი განიხილება სამცხეში მოყვანილი ხახვის ძირითად კონკურენტად, თუ არ ჩავთვლით იმპორტულ ხახვს.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი ხახვის მოხმარების მონაცემებით:

დიაგრამა 6. საქართველოს შინამეურნეობებში ხახვის საშუალო თვიური მოხმარება, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე და ერთ სულზე (კგ)




წყარო: შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, საქსტატი

ამრიგად ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი მონაწილეები არიან თესლის, შხამქიმიკატების, სასუქების მიმწოდებლები, ფერმერები (კომერციული და არაკომერციული), შუამავალები, საცალო მოვაჭრეები, სუპერმარკეტები და საბოლოო მომხმარებლები (ადგილობრივი და უცხოელი).

## 9. ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა

### 9.1 ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის „გრიდ მეპი“


დიაგრამა 7. ხახვის ღირებულებათა ჯაჭვი



## 9.2 ძირითადი საფეხურების აღწერა

ხახვის ღირებულებათა ჯაჭვში მიმდინარე პროცესები შეიძლება შემდეგ საფეხურებად დაიყოს:

### დიაგრამა 8. ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი საფეხურები



#### ხახვის თესვა და აღმოცენება

ხახვი ითესება სხვადასხვა სიფართის ზოლებში მწკრივებად. თესვა შეიძლება განხორციელდეს ან სათესი მანქანით ან ხელით. მწკრივების რაოდენობა და მათ შორის მანძილი დამოკიდებულია სათეს მანქანაზე. თესვისთვის ოპტიმალური პერიოდია 5-20 მარტი. დათესვიდან აღმოცენებამდე ხდება ნიადაგის დამუშავება.

ოპტიმალურ პირობებში, გაზაფხულზე ხახვი აღმოცენდება დათესვიდან 14-20 დღეში. ჭილის შემთხვევაში აღმოცენებას უფრო ნაკლები დრო სჭირდება ვიდრე თესლის შემთხვევაში. თესვის შემდეგ ერთ კვირაში, აღმოცენებამდე, საჭიროა სტომპით (ჭერბიციდით) დამუშავება. სამი-ოთხი ფოთლის ფაზაში, დგება ჭერბიციდების შეტანის მეორე ეტაპი (გოალი, გალაქსი ან გალიგალი). ხარჯის ნორმა ჯამურად 0.6-1 ლიტრამდე 1 ჰა-ზე, სამჯერადი შემუხურებით.

#### ამოღება და ნაკვეთში დაყრა

ჭილის შემთხვევაში ხახვის ამოღება ხდება 1-20 აგვისტოს, ხოლო თესლის შემთხვევაში ამოღება იწყება 15 სექტემბრიდან. ხახვის ამოღება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ხახვის ყელი 80%-ით მაინც არის მშრალი. ამოღების შემდეგ ხახვი რამდენიმე დღით იყრება ნაკვეთში მზეზე რათა ბოლომდე გახმეს.

#### გადარჩევა და ფოჩისაგან გაწმენდა

ამოღების შემდეგ ხდება ხახვის გადარჩევა და ფოჩისაგან გაწმენდა. გადარჩევა ხდება საწყობში შესვლის დროს. ეს საფეხური არის ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი და ამ ეტაპზე დანახარჯები სამუშაო ძალის დაქირავებაზე არის საკმაოდ მაღალი.

#### დასაწყობება და გაყიდვა

გადარჩეული და გაწმენდილი ხახვი თავსდება ბადე ტომრებში ან ყუთებში და ინახება საწყობში სადაც არის ვენტილიაცია და მაღალი ტემპერატურა (30 გრადუსი მაინც). ხახვის კარგად გაშრობა ძალიან მნიშვნელოვანია. თუ საწყობი არ არის სათანადოდ მოწყობილი გაშრობის შედეგად შესაძლოა მოსავლის 20-25% დაიკარგოს. საწყობში ტემპერატურა თანდათანობით უნდა შემცირდეს. ზამთარში შესანახად ოპტიმალური არის -1-დან +1-მდე ტემპერატურა.

რაც შეეხება ხახვის გაყიდვას, მისი გასაღების ძირითადი არხებია:

- ბაზარში გატანა
- გზაზე გაყიდვა
- შუამავალზე გაყიდვა

ჭილით მოყვანილი ხახვის გაყიდვა ხდება სექტემბერ-ოქტომბერში, ხოლო თესლით მოყვანილისა - სექტემბერ-მაისში. მიუხედავად იმისა, რომ თესლით მოყვანილი ხახვის ხანგრძლივად შენახვა არის შესაძლებელი, ფერმერები ხახვის გაყიდვას შემოდგომითვე ამჯობინებენ, ვინაიდან საწყობების სიმცირე ზრდის ხახვის ღირებულების რისკს.

კომერციული ფერმერები ამჯობინებენ ხახვის შუამავალზე გაყიდვას, ხოლო მცირე ფერმერები თავად ყიდნიან ხახვს ბაზარში.

ფერმერების უმრავლესობა წარმოებული პროდუქციის ნაწილს ყიდის მოსავლის აღების პერიოდში, ხოლო ნაწილს არასეზონური პერიოდის დროს უფრო მაღალ ფასში გასაყიდად ინახავს. ადგილობრივი ხახვის მიწოდება ბაზარზე ივნისში იწყება და პიკს ივლის-აგვისტოს პერიოდში აღწევს.

### 9.3 ხახვის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები

ხახვის ღირებულებათა ჯაჭვში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ან მომავალში მოახდენენ ხახვის წამოებაზე.

- **საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები წარმოადგენენ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს ხახვის მწარმოებლებისთვის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული ნებისმიერი პროექტის შესახებ ინფორმაციას სწორედ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები ავრცელებენ მოსახლეობაში. გარდა ამისა ისინი აგროვებენ ინფორმაციას ხახვის ნათესი ფართობებისა და მოსავლის შესახებ.

ასევე აღსანიშნავია ის, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოუშვა ბროშურა ხახვის მოვლა-მოყვანის შესახებ რაც სწორედ საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით გარცელდა ფერმერებს შორის.



გარდა ამისა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობაში, რაც სასარგებლოა ფერმერთა შორის წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად.

სახელმწიფო საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების გარდა, რეგიონში მუშაობს კერძო საკონსულტაციო კომპანია GDGI, რომელიც ეხმარება საკვები პროდუქტების მწარმოებლებს დანერგონ ხარისხის მართვის (ISO 9001), სურსათის უვნებლობისა და მართვის ინტეგრირებული სისტემები (ISO 22000) და წარმოების სანიმუშო პრაქტიკა (GLOBALGAP-ის მოთხოვნების შესაბამისად).

- **საერთაშორისო ორგანიზაციები**

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობდა. ამჟამად რამდენიმე ორგანიზაცია აგრძელებს თავის საქმიანობას სოფლის მეურნეობის სფეროში. ეს ორგანიზაციები როგორც წესი ეხმარებიან ფერმერებს მანქანა-დანადგარებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენაში.

კიდევ ერთი მიმართულება, რომელშიც ჩართულები არიან საერთაშორისო ორგანიზაციები არის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა. ასევე მნიშვნელოვანია დონორების მიერ ადგილობრივი კოლეჯის მხარდაჭერა.

- **ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები**

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა ფერმერების შემთხვევაში ხშირად განიხილება როგორც მათი საქმიანობისთვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დანერგილი შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა მიჩნეულია სააგენტოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ეს პროგრამა მსხვილი ფერმერებისთვის. ხოლო მცირე მეურნეობებს უჭირთ სესხის მიღება ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მათ მოეთხოვებათ სესხის ქონებრივი უზრუნველყოფა. ამიტომაც მცირე და საშუალო მეურნეობებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რჩება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად.

ვინაიდან ხახვი რეგიონში მცირე მასშტაბით იწარმოება, ამ საქმიანობისთვის არც ერთ რესპონდენტს სესხი არ აუღია.

- **გაზეთი და ტელევიზია**

გაზეთი და ტელევიზია წარმოადგენს ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს ფერმერებისთვის. რესპონდენტებმა განსაკუთრებით აღნიშნეს გაზეთ „სამხრეთის კარიბჭე“-ს მნიშვნელობა. გაზეთიდან ფერმერები იღებენ ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების შესახებ, ხოლო სატელევიზიო გადაცემები აწვდიან მათ ინფორმაციას სხვადასხვა კულტურების მოვლა-მოყვანის შესახებ.

- **საგანმანათლებლო დაწესებულებები**

რეგიონში არის უნივერსიტეტი და ასევე კოლეჯები. ერთ-ერთი კოლეჯია „ოპიზარი“, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ დაეუფლონ შემდეგ სპეციალობებს: ფერმერი, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი, აგრარული ტექნიკის მექანიკოსი. სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი, ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი და სხვა. მოთხოვნა ამ სპეციალობებზე დამოკიდებულია სახელმწიფო რეგულაციებზე. როდესაც სასურსათო უსაფრთხოების სტანდარტები მკაცრდება, მოთხოვნა ამ სფეროში თეორიული ცოდნის მიღებაზე იზრდება.

- **საერთაშორისო სავაჭრო გარემო**

საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. მას აქვს შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი ევროპასთან, დსთ-ს ქვეყნებთან, თურქეთთან, აშშ, ნორვეგია, შვეიცარია, კანადა და იაპონიასთან. წელს ასევე გაღრმავდა სავაჭრო ურთიერთობები ჩინეთთან.

მაღალი ხარისხის ხახვის წარმოებისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია განახორციელოს ხახვის ექსპორტი ზემოთხსენებულ ქვეყნებში. თუმცა ასევე მოსალოდნელია კონკურენციის ზრდა ადგილობრივ, ქართულ ბაზარზე ვინაიდან სავაჭრო შეთანხმებები ორმხრივ შეღავათებს გულისხმობს.

- **სერტიფიკატის გამცემი ორგანოები**

საქართველოს ფარგლებს გარეთ გასატანი საქონლის საბაჟო გაფორმებას ახორციელებენ საბაჟო ორგანოები. ექსპორტის განსახორციელებლად მეწარმე სუბიექტმა საბაჟოზე უნდა წარადგინოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტების ნუსხა. მათ შორის არის საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ფიტოსანიტარული სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური.

## 9.4 ხარჯებისა და ნამატების ანალიზი

### 9.4.1 მწარმოებელთა დანახარჯები და შემოსავლები


ხახვის მწარმოებელთა დანახარჯები და შემოსავლები დამოკიდებულია ხახვის მოყვანის მეთოდზე. საბოლოო მოგება მნიშვნელოვნად განისაზღვება იმით თუ რა მეთოდი გამოიყენა ფერმერმა: ექსტენსიური (ჭილით მოყვანა) თუ ინტენსიური (თესლით მოყვანა); ადგილობრივი სათესლე მასალა გამოიყენა თუ იმპორტული და ა.შ.

ფერმერის ძირითადი დანახარჯები მოდის სათესლე მასალაზე (ჰოლანდიური თესლის ფასი - 400-500 ლარი/კგ, ადგილობრივი თესლის ფასი - 80 ლარი/კგ, ჭილის ფასი - 5-6 ლარი/კგ); სამუშაო ძალასა (ქალი - 20 ლარი დღეში, კაცი - 25 ლარი დღეში) და ჰერბიციდებსა და ფუნგიციდებზე (საშუალოდ 2000 ლარი/ჰა).

შემოსავალი კი განისაზღვრება ხახვის მოსავლითა და ფასით. ჭილით მოყვანის შემთხვევაში საშუალო მოსავლიანობა არის 20-25 ტ/ჰა, ხოლო თესლით მოყვანისას - 40-45 ტ/ჰა. თესლით მოყვანის შემთხვევაში შესაძლებელია 60-70 ტ/ჰა მოსავლის მიღებაც კი.

რაც შეეხება ფასებს, მწარმოებელთა ე.წ. „firm gate” ფასების დინამიკა ქვემოთაა მოცემული:


**დიაგრამა 9. ხახვის მწარმოებელთა ფასები საქართველოში**



წყარო: საქსტატი


საინტერესოა, რომ 2014 წელს ქართველი მწარმოებლების ფასები იყო საკმაოდ მაღალი წამყვანი ქვეყნების მწარმოებლის ფასებთან შედარებით.

**დიაგრამა 10. ხახვის მწარმოებელთა ფასების შედარება**



წყარო: ავტორის გაანგარიშებები სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 11. ხახვის ფასების შედარება დოლარში, ლარსა და თურქულ ლირაში



წყარო: ავტორის გაანგარიშებები

ზემოთმოცემული ცხრილიდან ჩანს, თუ როგორ იზრდება ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე დოლარის მსყიდველობითუნარიანობა. თურქული ლირის შემთხვევაში 2014 წლამდე ფასი მცირდებოდა ხოლო 2015-ში ოდნავ გაიზარდა.

ინტერვიუებიდან გამომდინარე ხახვის მოყვანის შედეგად მიღებული საშუალო წლიური შემოსავალი არის 10'000 – 20'000 ლარი/ჰა, საშუალო დანახარჯი 7'000-8'000 ლარი/ჰა, ხოლო საშუალო მოგება 3'000-12'000 ლარი/ჰა.

ქვემოთ მოყვანილია გაანგარიშებების ერთ-ერთი ვარიანტი გარკვეული მოსავლიანობისა და ფასების დაშვებით ხახვის ექსტენსიური და ინტენსიური მეთოდებით მოყვანის შემთხვევაში.

**ცხრილი 12: მარჟინალური მოგების შედარება ხახვის მოყვანის ექტენსიური და ინტენსიური მეთოდების შემთხვევაში**

		ექსტენსიური	ინტენსიური
#	ინდიკატორები	თავიანი ხახვი ჭილით (ბოლქვით) დარგვისას	თავიანი ხახვის მოყვანა თესლით თესვისას
1	მთლიანი ხარჯი (ლარი)	6'200	9'600
2	მოსავალი (კგ/ჰა)	25'000	60'000
3	საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ)	0.37	0.36
4	შემოსავლები (ლარი)	9'250	21'600

5	მოგება (ლარი)	3'050	12'000
6	თვითღირებულება (ლარი/კგ)	0.25	0.16
7	მოგების მარჟა (ლარი/კგ)	0.12	0.20
8	მოგების მარჟა (%)	32%	55%

წყარო: ავტორის კალკულაცია შ. გონგლადის ეკონომიკურ გამოთვლებზე დაყრდნობით  
 შენიშვნა: შ.გონგლადის დეტალური ეკონომიკური გაანგარიშებები მოცემულია დანართის ცხრილ A2-ში და A3-ში

ამრიგად ხახვის მოყვანის ინტენსიური მეთოდი უფრო მომგებიანია ფერმერისთვის.

### 9.4.2 დამატებული ღირებულების ანალიზი

დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე წარმოადგენს ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებს შორის ფასების სხვაობას.


დიაგრამა 12. დამატებული ღირებულება ჯაჭვში ჭილით თესვისას



წყარო: ავტორის გაანგარიშება

შენიშვნა: იგულისხმება რომ ხახვის თვითღირებულება ფერმერისთვის არის 0.25 ლარი/კგ

დიაგრამა 13. დამატებული ღირებულება ჯაჭვში თესლით თესვისას



წყარო: ავტორის გაანგარიშება

შენიშვნა: იგულისხმება რომ ხახვის თვითღირებულება ფერმერისთვის არის 0.16 ლარი/კგ

ვინაიდან ხახვის მოყვანის მეთოდიდან გამომდინარე თვითღირებულება განსხვავებულია დამატებული ღირებულება მხოლოდ ფერმერისთვის იცვლება.

## 9.5 მთავარი მონაწილეები და მათი ურთიერთობები

### 9.5.1 ღირებულებათა ჯაჭვში ჰორიზონტალური კავშირები

ინტერვიუების დროს ხახვის ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლინდა შემდეგი ჰორიზონტალური კავშირები

ცხრილი 13. ჰორიზონტალური კავშირები

კავშირი	კავშირის აღწერა
აგრო-მაღაზიებს შორის	ვინაიდან ბოლო პერიოდში აგრო-მაღაზიების რაოდენობა რეგიონებში გაიზარდა, მათ შორის კონკურენციაც გამძაფრდა. აგრო-მაღაზიებს შორის რეგიონში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სასოფლო საკონსულტაციო სამსახურის RAS-ის აგრო-მაღაზიების ქსელს, რომელსაც ქვია „ფერმერი“. მას აქვს დომინანტური პოზიცია რეგიონში.
ფერმერებს შორის	ხახვის მწარმოებელ ფერმერთა უმეტესობა მცირე შინამეურნეობებს წარმოადგენს, რომელთაც ხახვი ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის მოჰყავთ. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ბევრი ფერმერი არის გაერთიანებული კოოპერატივებში. წარმოების

	თვალსაზრისით კოოპერატივების პორტფელი დივერსიფიცირებულია, მაგრამ უმეტესად კარტოფილის წარმოებაზე ორიენტირებული.
შუამავლებს შორის	რეგიონში ბევრი შუამავალია და ამიტომ ხახვის გასაღება არ არის რთული. შუამავლებს შორის კონკურენცია არც ისე მაღალია ვინაიდან ფერმერისთვის მათ მიერ შეთავაზებული ფასები არ განსხვავდება.
ბაზარში საცალო მოვაჭრეებს შორის	ბაზარში ბევრი საცალო მოვაჭრეა და შესაბამისად კონკურენტული გარემო. თუმცა აქაც როგორც წინა შემთხვევაში ფასები დაახლოებით ერთნაირია. ხშირ შემთხვევაში თავად ფერმერიც გამოდის საცალო მოვაჭრის როლში, როდესაც თავისი ნაწარმი გააქვს ბაზარში.
სუპერმარკეტებს შორის	სუპერმარკეტების რაოდენობა ბოლო პერიოდში გაიზარდა და მათ შორის საკმაოდ მძაფრი კონკურენციაა მსხვილ ქალაქებში. რეგიონში კი სულ რამდენიმე ქსელი არის წარმოდგენილი და შესაბამისად კონკურენციის დონეც არც ისე მაღალია.
მომხმარებლებს შორის	საქართველოში ხახვი საკმაოდ პოპულარლი პროდუქტია მოხმარების თვალსაზრისით. მომხმარებლები იძენენ როგორც ადგილობრივ ასევე იმპორტულ ხახვს. თუმცა სულ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ ქართულ ნაწარმს. ამას ხელს უწყობს სხვადასხვა ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებების მიუხედავად, ამ ეტაპზე ზამთარში მომხმარებელს მაინც უწევს იმპორტული ხახვის შეძენა, რადგან ქართული ხახვის წარმოება სრულად ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას.

### 9.5.2 ღირებულებათა ჯაჭვში ვერტიკალური კავშირები

#### ცხრილი 14. ვერტიკალური კავშირები

კავშირი	კავშირის აღწერა
აგრო-მაღაზიებსა და ფერმერებს შორის	ინტერვიუების დროს რესპონდენტებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ მათ თავისუფლად მიუწვდებათ ხელი სასუქებზე, შხამ-ქიმიკატებსა და სათესლე მასალაზე. ფერმერს არ უწევს თბილისში წამოსვლა ამ პროდუქციის შესაძენად. ფასებიც მისაღებია რესპონდენტთა უმრავლესობისთვის.
	ფერმერებსა და შუამავლებს შორის კავშირი არის არაფორმალური და არ ემყარება რაიმე სახის



<p>ფერმერებსა და შუამავლებს შორის</p>	<p>ხელშეკრულება ან თუნდაც ზეპირ შეთანხმებას. რესპონდენტების უმეტესობას არ აქვს სტაბილური კავშირი შუამავალთან და ყიდის თავის ნაწარმს სხვადასხვა შუამავლებზე.</p>
<p>შუამავლებსა და ბაზარში საცალო მოვაჭრეებს შორის</p>	<p>ეს კავშირიც არაფორმალურია და არ ეფუძნება არანაირ ხელშეკრულებას, თუმცა სტაბილურია. საცალო მოვაჭრეების უმეტესობა ერთსა და იმავე შუამავლისგან იპენს პროდუქციას ზეპირი შეთანხმებების საფუძველზე.</p>
<p>შუამავლებსა და სუპერმარკეტებს შორის</p>	<p>ეს კავშირი არის ფორმალური და გამყარებულია ხელშეკრულებით შუამავალსა და სუპერმარკეტს შორის.</p>
<p>ბაზარში საცალო მოვაჭრეებსა და მომხმარებელს შორის</p>	<p>ბაზრებს ბევრი მომხმარებელი ჰყავს ქალაქებშიც და სოფლადაც. სხვა საცალო ვაჭრობის ობიექტებთან შედარებით ბაზარში ფასი უფრო დაბალია, რაც მომხმარებელთა გარკვეული სეგმენტისთვის არის გადამწყვეტი. გარდა ამისა არსებობს მომხმარებელთა კატეგორია, ვინც მიიჩნევს, რომ ბაზარში შექმნილი საკვები პროდუქტი არის უფრო ჯანსაღი და ნატურალური.</p>
<p>სუპერმარკეტებსა და მომხმარებელს შორის</p>	<p>სუპერმარკეტები სთავაზობენ მომხმარებელს კომფორტულ გარემოს საკვების შესაძენად და შესაბამისად უფრო მაღალ ფასს ვიდრე საცალო მოვაჭრეები ბაზარში. როგორც წესი სუპერმარკეტებს სხვა სამიზნე აუდიტორია ჰყავთ, რომელიც მზადაა უფრო მაღალი ფასი.</p>



## 10. სამცხე-ჯავახეთის ხახვის სექტორის „SWOT“ ანალიზი

ცხრილი 15. ხახვის სექტორის „SWOT“ ანალიზი სამცხე-ჯავახეთში

ძლიერი მხარეები (S)	სუსტი მხარეები (W)
<ul style="list-style-type: none"> <li>• ხახვი კარგად უძლებს ყინვას;</li> <li>• არ საჭიროებს ბევრ მორწყვას;</li> <li>• გამოდგება კარტოფილთან და სხვა კულტურებთან თესლბრუნვისთვის;</li> <li>• დიდ ხანს ინახება;</li> <li>• რეგიონის ხელსაყრელი კლიმატი;</li> <li>• რეგიონის ნაყოფიერი ნიადაგი;</li> <li>• თესლსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა;</li> <li>• საინფორმაციო-საკონკულტაციო სამსახურების არსებობა;</li> <li>• სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ შემუშავებული პროექტები;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საწყობების (საშრობების) ნაკლებობა;</li> <li>• აგრო-ტექნიკის ნაკლებობა (სათესი, ამოსაღები და სხვა ტექნიკა);</li> <li>• მაღალი დანახარჯები სამუშაო ძალაზე მოსავლის აღების დროს;</li> <li>• თანამედროვე სარწყავი სისტემების (წვეთოვანი) ნაკლებობა;</li> <li>• დაზღვევის პრაქტიკის სიმცირე</li> <li>• დაბალი მოსავლიანობა;</li> <li>• ფერმერთა შორის კოოპერაციის დაბალი დონე;</li> <li>• კომერციალიზაციის დაბალი დონე;</li> <li>• წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე;</li> <li>• სოფლის მეურნეობისთვის მოკლე ვეგეტაციური პერიოდი;</li> </ul>
შესაძლებლობები (O)	საშიშროებები (T)
<ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონალური წარმოების დივერსიფიკაცია;</li> <li>• იმპორტის ჩანაცვლება;</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;</li> <li>• წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;</li> <li>• მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარება;</li> <li>• სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა;</li> <li>• სათესლე და სანერგე მასალის წარმოების ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;</li> <li>• სარწყავი სისტემების განვითარება;</li> <li>• ხახვის შეფუთვა, დაფასოება და ბრენდირება;</li> <li>• ფერმერებს შორის კოოპერაციის დონის ამაღლება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კარტოფილზე როგორც მონო-კულტურაზე ფოკუსირება</li> <li>• გვალვა, სეტყვა, სხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენები;</li> <li>• დაავადებების კერების და ეპიდემიების უკონტროლოდ გავრცელება;</li> <li>• სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობების გაუარესება;</li> <li>• მაკროეკონომიკური გარემოს გაუარესება (მაგ. ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რაც ამცირებს იმპორტს)</li> </ul>

## 11. ხახვის სექტორის პოტენციალი

### 11.1 დასაქმების პერსპექტივები

ხახვის ღირებულებათა ჯაჭვში დასაქმება არის ძირითადად სეზონური და დაქირავებული სამუშაო ძალა ყველაზე მეტად გამოიყენება ხახვის ამოღების, ფოჩისაგან გაწმენდის, გადარჩევისა და ბადე ჩანთებში მოთავსების დროს.

სამუშაო ძალაზე დანახარჯი ერთ-ერთი ძირითადი დანახარჯია, რომელსაც გასწევს ხახვის მწარმოებელი ფერმერი. სეზონზე ძირითადად ქალების დაქირავება ხდება დაახლოებით 10-15 დღით. როგორც წესი ქალის ანაზღაურება შეადგენს 20 ლარს, ხოლო მამაკაცისა 25 ლარს. ანაზღაურებაში სხვაობა რესპონდენტებმა ახსნეს იმით, რომ მამაკაცებს უწევთ უფრო მეტი საათი იმუშაონ. რესპონდენტებზე დაყრდნობით, ერთ ჰა-ზე მოსავლის აღებას რაც გულისხმობს ხახვის ამოღება - გაწმენდა - ტრანსპორტირებას ესაჭიროება დაახლოებით 50 - 70 ადამიანი. გამოყენებული სამუშაო ძალის რაოდენობა მნიშვნელოვნად არის მაკოდებული მწარმოებლის ხელთ არსებულ აგრო ტექნიკაზე. რაც უფრო მეტი აგრო ტექნიკაა ხელმისაწვდომი, მით ნაკლებია მწარმოებლის დანახარჯი სამუშაო ძალაზე.

ვინაიდან ხახვის მოყვანა საკმაოდ შრომატევადი პროცესია, ფერმერთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ ცდილობენ შეამცირონ ხარჯები სამუშაო ძალაზე. ამიტომ ხახვის წარმოების დროს დასაქმების პერსპექტივები არც ისე მაღალია.

### 11.2 შემოსავლების გენერირება

ქართველ ფერმერთა უმეტესობა შემოსავალს სხვადასხვა წყაროებიდან იღებს. როგორც კვლევებიდან ირკვევა მცირე და საშუალო ფერმერების საქმიანობა საკმაოდ დივერსიფიცირებულია და ისინი შემოსავალს როგორც მემცენარეობიდან ისე მეცხოველეობიდან იღებენ.

სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი მოდის მეკარტოფილეობიდან და მეცხოველეობიდან. კვლევამ აჩვენა, რომ კარტოფილის წარმოებიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით აღემატება ხახვის წარმოებიდან მიღებულ შემოსავლებს. ჯავახეთში მაგალითად შესაბამისი კლიმატური პირობების არსებობის შემთხვევაშიც კი ბევრი ფერმერი მიიჩნევს, რომ მისთვის გაცილებით მომგებიანია კარტოფილის მოყვანა და შემდეგ ხახვში გადაცვლა ვიდრე რესურსების ხარჯვა ხახვის მოყვანაზე.

აქედან გამომდინარე, ხახვის წარმოებიდან მიღებულ შემოსავლებს დღესდღეობით უმნიშვნელო წილი აქვთ ფერმერთა მთლიან შემოსავლებში.

### 11.3 გარემოზე ზეგავლენა

გარემოზე ზეგავლენის თვალსაზრისით, ხახვი განსაკუთრებით გამოსადეგია თესლბრუნვაში და კარგი წინამორბედაა სხვა კულტურებისთვის. თესლბრუნვა კი ხელს უწყობს ნიადაგში საკვები ნივთიერებების ბალანსის შენარჩუნებას.

უხვი მოსავლის მისაღებად საჭიროა ნაყოფიერი ნიადაგი, რომელიც შესაბამის მიკროელემენტებს შეიცავს. რსანიშნავია, რომ სხვადასხვა კულტურებს სხვადასხვა მიკროელემენტები ესაჭიროებათ. მაგალითად ფოთლოვანი კულტურებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიადაგში აზოტის შემცველობა, ხოლო ძირხვენებისთვის - ფოსფორი. თუ წლების განმავლობაში ერთ ნაკვეთზე ერთი და იგივე კულტურის ითვისება, ეს იწვევს ნიადაგის გამოფიტვას.

გარდა ამისა, ერთი ოჯახის მცენარეების თესვა ერთსა და იმავე ნაკვეთში იწვევს მავნებელი მწერების მომრავლებას და სხვადასხვა დაავადებების გავრცელებას.

ამიტომაც ხახვის გამოყენება თესლბრუნვაში ხელს შეუწყობს ნიადაგში მიკროელემენტების შენარჩუნებას.

## 12. დისკუსია და რეკომენდაციები

### 12.1 ხახვის სექტორის მთავარი შეზღუდვები

ხახვის ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: წარმოების შეზღუდვები, დასაწყობების შეზღუდვები და გასაღებასთან დაკავშირებული პრობლემები.

#### წარმოების შეზღუდვები

ხახვის მოვლა-მოყვანის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობას. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ რეგიონში აღინიშნება ხახვის მოყვანისთვის საჭირო აგრო-ტექნიკის ნაკლებობა. ბევრ ფერმერს არ აქვს სათესი აპარატი და ამიტომ ხახვის თესვა ხდება ხელით. საჭირო აგრო-ტექნიკის არარსებობის გამო რთულდება ხახვის ამოღებისა და გადარჩევის პროცესები.

კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი უკავშირდება სამუშაო ძალას. რესპონდენტების თქმით, ბევრ უმუშევარ სოფლად მცხოვრებ ადამიანს არ აქვს სურვილი იმუშაოს სოფლის მეურნეობის სექტორში. ეს პრობლემა განსაკუთრებით მამაკაცების შემთხვევაში იჩენს თავს.

თანამდროვე ტექნოლოგიების, მათ შორის წვეთოვანი სარწყავი სისტემის გამოყენების დონეც დაბალია ამ ეტაპზე. ზოგადად ირიგაციის საკითხიც საკმაოდ მწვავედ დგას რეგიონში. მოუხედავად იმის რომ ხახვი ბევრ სხვა კულტურასთან შედარებით გაცილებით ნაკლებ მორწყვას საჭიროებს, თესლით ხახვის მოყვანისას მორწყვა აუცილებელია.

#### შენახვის შეზღუდვები

ხახვის მოსავლის ალების შემდეგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ხახვის შენახვა სათანადო პირობებში.

მცირე ფერმერები ვისაც ხახვი საკუთარი მოხმარებისთვის მოჰყავს, ინახავენ მას გრილ ფარდულებში სახლის პირობებში, ხოლო საშუალო და მსხვილ მწარმოებლებს სჭირდებათ საწყობები ვენტილაციით ვინაიდან დიდი რაოდენობის ხახვი საკმაოდ ბევრ სინესტეს გამოყოფს როცა შრება. ამიტომაც აუცილებელია კეთილმოწყობილი საშრობი.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ხახვის შენახვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, ურჩევნიათ მალევე გაასაღონ თავისი ნაწარმი.

#### გასაღების შეზღუდვები

მწარმოებელთა უმეტესობას თავისი პროდუქციის გასაღება არ უჭირს თუმცა აღსანიშნავია ის, რომ შუამავლებთან ურთიერთობა არაფორმალურია და შესაბამისად არასტაბილური. გარდა ამისა ამ ეტაპზე არც ერთ მწარმოებელს არ აქვს ურთიერთობა სუპერმარკეტებთან. ბევრი სხვა

რეგიონის ფერმერების მსგავსად, ხახვის მწარმოებლები სამცხეში ხასიათდებიან კომერციალიზაციის დაბალი დონით. ასევე არ ხდება ხახვის ბრენდირება.

გარდა ზემოთაღნიშნული სირთულეებისა, აღსანიშნავია ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორცაა დაზღვევის პრაქტიკის სიმცირე. მოუხედავად სახელმწიფო მხარდაჭერისა აგროდაზღვევა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული ფერმერებს შორის.

## 12.2 რეკომენდაციები

სამცხე-ჯავახეთში ხახვის წარმოების განვითარებისთვის აუცილებელია პირველ რიგში ხახვის წარმოების პოპულარიზაცია რეგიონში. ამ ეტაპზე ფერმერები ძირითადად მეკარტოფილეობას მისდევენ და მათი უმეტესობა არ მიმართავს თესლბრუნვას, რაც ამცირებს მოსავლიანობას და აზიანებს ნიადაგს. ამიტომაც მნიშვნელოვანია სხვა კულტურების წარმოება. სხვა კულტურების მოყვანა ასევე ამცირებს რისკებს, რომელიც მონოკულტურაზე დამოკიდებულებას უკავშირდება. ამიტომაც საჭიროა ხახვის წარმოების პოპულარიზაცია რეგიონში.

წარმოების დივერსიფიკაცია ასევე შეუწყობს ხელს ზოგადად წარმოების დონის გაზრდას და შესაძლოა მომავალში მოხდეს ნაწილობრივ მაინც იმპორტის ჩანაცვლება.

ხახვის მოვლა-მოყვანისთვის აუცილებელია აგრო-ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. მექანიზაციის ცენტრების გახსნით სახელმწიფომ უკვე შეუწყო ხელი ფერმერებს, თუმცა ტექნიკის ნაკლებობა როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ შესამჩნევია.

ხახვის მოსავლიანობა რეგიონში საკმაოდ დაბალია და ამიტომ უცილებელია წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა. ამისთვის რეკომენდირებულია სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და ასევე უცხოელი ფერმერების გამოცდილების გაზიარება საზღვარგარეთ ვიზიტების მეშვეობით.

ვინაიდან ფერმერთა უმეტესობა ხახვს საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს, მათი კომერციალიზაციის დონე დაბალია. ფერმერების კომერციალიზაციის დონის ასამაღლებლად რეკომენდირებულია მაგალითად მარკეტინგული კოოპერატივების წახალისება.

ზემოთაღნიშნული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ხახვის სექტორის განვითარებას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

## ბიბლიოგრაფია

ბი.აი.ჯი. გაზეთი აგრომანი #3, ივლისი-აგვისტო 2013

შ.გონგლადის ეკონომიკური გაანგარიშებები, თავიანი ხახვის მოყვანა, ატმის და კაკლის ბაღის გაშენება, 2016

გ.ესიტაშვილი, ხახვის კულტურა საქართველოში, თბილისი, 1952 წ.

ირ.მაჭავარიანი, ბოსტნეული და ბაღეული კულტურების მეთესლეობა, თბილისი, 1998 წ.

ირ.მაჭავარიანი, ზოგიერთი ბოსტნეულ-ბაღეული კულტურის აგროტექნიკა და მეთესლეობა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში, სადისერტაციო შრომა, თბილისი, 1970 წ.

ი.ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტის გარდაბნის საცდელი სადგურის 2005 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში.

მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი, თბილისი, 2004–2012 წწ.

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი, თბილისი, 2011–2012 წწ.

თავიანი ხახვის მოყვანის ტექნოლოგია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 2015

კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

საქართველოს აგროსასურსათო სექტორი - თქვენი ინვესტიციისთვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2015

შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის

<http://faostat3.fao.org/browse/Q/QC/E>

<http://static.mrdi.gov.ge/52f9bf630cf298a857ab7d58.pdf>

<http://www.mrdi.gov.ge/ge/news/rdevelopment/52b2e7c60cf2f9b6fab6b473>

<https://www.scribd.com/doc/296802927/საქართველოს-აგროსასურსათო-სექტორი>

[http://bio-blogi.blogspot.com/2011/04/blog-post\\_02.html](http://bio-blogi.blogspot.com/2011/04/blog-post_02.html)

<http://betravel.ge/index.php?hide=gereg&lang=ge>

[http://saqartvelosmta.blogspot.com/p/blog-page\\_9836.html](http://saqartvelosmta.blogspot.com/p/blog-page_9836.html)



## დანართი

### ცხრილი A1. ხახვის ჯიშები და მათი დახასიათება

ჯიში	წარმოშობა	დახასიათება
ქართლის – Allium cepa ‘ Kartlis’	შიდა ქართლის რეგიონი. დარაიონებულია 1962 წლიდან IX, XII, XIX, XX და XXII ზონებისთვის.	საშუალო საგვიანო ჯიში. სავეგეტაციო პერიოდი 110–120 დღე. ბოლქვი მობრტყელო მრგვალია, ყელთან ოდნავ ამოზნექილი. ძირითადად გვხვდება ერთბუდიანი ფორმები, იშვიათად ორბუდიანიც. გარეგანი ქერქლები ვარდისფერია. როგორც მორფოლოგიური, ისე სამეურნეო-ბიოლოგიური თვისებების მიხედვით, იგი ძალიან გავს სხვილისის ხახვს. როგორც ჩანს, სხვილისის ხახვი თავისი წარმოშობით და განვითარებით დაკავშირებული უნდა იყოს ქართლის ხახვთან. ქართლის ხახვი უხვმოსავლიანია სარწყავ პირობებში – 20ტ/ჰა. ურწყავში ძალიან დაბალ მოსავალს იძლევა. ნახევრად ცხარეა, მავნებლებისა და დაავადებების მიმართ გამძლეა.
სხვილის ის ხახვი – Allium cepa ‘ Skhvilis Khakvi’	სამცხე–ჯავახეთის რეგიონი, ახალციხე. დარაიონებულია 1947 წლიდან. VI, IX, XII, XIII, XIX, XX და XXII ზონებისთვის.	ჯიშს, მთიან, გრილ რაიონში გამოყვანის გამო, აქვს შედარებით მოკლე სავეგეტაციო პერიოდი. თესვიდან სასაქონლო ბოლქვის მიღებამდე სჭირდება 80 დღე. გამოირჩევა ხანგრძლივი შენახვისუნარიანობით. ივითარებს საკმაოდ მსხვილ, მობრტყო მრგვალი ფორმის, მკვრივი აგებულების ბოლქვებს, საშუალო მასა –120 გრ, ბოლქვის შიგნითა სქელი ქერქლები თეთრია, ხოლო გარეთა მშრალი თხელი ქერქლები – მოოქროსფრო-ყავისფერი. ნახევრად ცხარე ჯიშია. მავნებლებისა და დაავადებების მიმართ საკმაოდ გამძლეა. სხვილისის ხახვი ფართოდ გავრცელებული აბორიგენული ჯიშია ახალციხის რაიონში. საქართველოს სხვა რაიონებშიც ვრცელდება. ეს ხახვი ცნობილია “სუფლისისა” და “ახალციხის” სახელწოდებითაც.
მარნეულ ის მრავალბ ოლქვიან ი – Allium cepa ‘Marneulis Mravalbol kviani’	ქვემო ქართლის რეგიონი, მარნეული. გავრცელებულია ქვემო ქართლის რაიონების სარწყავ ზონაში, ძირითადად მარნეულსა და გარდაბანში.	მარნეულის მრავალბოლქვიანი საგვიანო ჯიშია, ბოლქვის დასამწიფებლად მოითხოვს გრძელ და თბილ დღეებს. ამიტომ უკეთეს შედეგს იძლევა თბილ რაიონებში და ისიც შემოდგომა-ზამთარში თესვის დროს. ივითარებს მსხვილ, მრავალბოლქვიან, მეტწილად 3–4, ზოგჯერ 4–5-ბოლქვიან თავს. თითოეული ბოლქვი წაგრძელებული ოვალურია, გარეთა მშრალი ქერქლების ფერი ბაცი მოყვითალო-მოვარდისფროა, შიგნითა წვნიანი ქერქლები თეთრია. ძალიან ცხარეა, ხანგრძლივად შენახვისუნარიანია. სოკოვანი დაავადებების მიმართ გამძლეა. ამ ჯიშის გაუმჯობესებასა და ელიტურ მეთესლეობას ეწეოდა მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

<p>ლიზი – Allium cepa ‘Lizi’</p>	<p>მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, წეროვანი. დარეგისტრირებულია 2012 წელს აღნიშნული რეგიონის რაიონების სარწყავ ზონაში გასავრცელებლად.</p>	<p>ჯიში ლიზის სავეგეტაციო პერიოდი საშუალო-საგვიანოა, აღმოცენებიდან სრულ ბიოლოგიურ სიმწიფემდე საჭიროებს 100-105 დღეს. ნახევრად ცხარეა, ბოლქვი თეთრი ფერის რბილობით და ქერქლით, ფორმა მრგვალი, მასა – 120-160 გრ, უბარტყო, ნიადაგის ზედაპირზე ზემოთ მჯდომარე. მცენარის სიმაღლეა 30-40 სმ, ფოთლების რაოდენობა – 6-8, მუქი მწვანე, მარაოსებურად განწყობილი. გამძლეა მავნებლებ-დაავადებათა მიმართ. ბოლქვის მოსავლიანობა სარწყავში მაღალ აგროფონზე – 30-40 ტ/ჰა. თესლის მოსავალი – 2,6-2,9 ც/ჰა. 1000 თესლის მასა 3,4 -3,7 გრ.</p> <p>ჯიში ლიზი გამოყვანილია ჯიშიდან „სტარდასტ ბეიო“ მასობრივი გამორჩევის მეთოდით ი.ლომოურის სახ. მიწათმოქმედების ინსტიტუტში.</p>
<p>კახური ბრტყელი -Allium cepa ‘ Kakhuri Brtkeli’</p>	<p>კახეთის რეგიონი. დარაიონებულია 1961 წლიდან IX და XVI ზონებისათვის.</p>	<p>ჯიში კახური ბრტყელი საადრეო ჯიშია. სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან ბოლქვის მომწიფებამდე 80-85 დღეა. ივითარებს მობრტყო ფორმის ბოლქვს, ბოლქვი შეიძლება იყოს ერთ-, ორ- ან მრავალბუდიანი, საშუალო სიმკვრივის. მისი გარეთა მშრალი ქერქლები მოვარდისფროა, ხოლო შიგნითა წვნიანი ქერქლები – იისფერი. ბოლქვი მშრალ ნივთიერებას შეიცავს 10,78%-მდე და 8,4%-მდე შაქარს. კახური ბრტყელის სასაქონლო მოსავლიანობაა 19-20 ტ/ჰა. თესლის მოსავალი – 3,8 ც/ჰა. 1000 მარცვლის მასა 3,6 გრ. მრავალბუდიანობა გავლენას ახდენს ჯიში შენახვისუნარიანობაზე. დაავადებებისა და მავნებლების მიმართ საკმაოდ გამძლეა. საქართველოში გავრცელებულ ჯიშებს შორის ყველაზე უფრო ტკბილი ხახვია, საუკეთესო გემო აქვს.</p>
<p>ვარდისფერი 32- Allium cepa ‘ Vardisperi 32’</p>	<p>ქვემო ქართლის რეგიონი, გარდაბანი. დარეგისტრირებულია 2012 წელს ქვემო ქართლის და მცხეთის რაიონებში გასავრცელებლად.</p>	<p>ჯიში „ვარდისფერი-32“ სავეგეტაციო პერიოდის მიხედვით საგვიანოა, აღმოცენებიდან სრულ ბიოლოგიურ სიმწიფემდე სჭირდება 130-135 დღე. გამოირჩევა კარგი შენახვისუნარიანობით. ნახევრად ცხარეა, ყვავილის ფერი თეთრი. ფოთლების რაოდენობა ცრუ ღეროზე 11-12 ცალია. მცენარის სიმაღლე 40-50 სმ. ფოთლის ფერი მუქი მწვანეა. ბოლქვი ერთბუდიანია, ფორმა ბრტყელი. გარეთა მშრალი ქერქლები მოვარდისფროა, შიგნითა წვნიანი ქერქლები – ვარდისფერი. ბოლქვის ზომა საშუალოა, წონა – 115-120 გრ. სარწყავ პირობებში, მაღალ აგროფონზე, ბოლქვის მოსავლიანობაა 27-29 ტ/ჰა. თესლი შავია, სამწახნაგა, ზედაპირი – დანაოჭებული. თესლის მოსავალი 3,5-3,8 ც/ჰა, 1000 მარცვლის მასა 3,8-4 გრ. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 11,03 %, ბოლქვი ძლიერ მკვრივი. მავნებლებ-დაავადებათა მიმართ საშუალოდ გამძლეა. ჯიში ვარდისფერი-32, გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის გარდაბნის</p>



		<p>საცდელ სადგურში, ჯიშიდან – „კახური ბრტყელი“ მასობრივი გამორჩევის მეთოდით.</p>
<p>ვანის ხახვი – Allium cepa ‘Vanis Khakvi’</p>	<p>იმერეთის რეგიონი.ვანი.გავრცელებულია ვანისა და იმერეთის დანარჩენ რაიონებში,კახეთის თბილ რაიონებში.</p>	<p>ჯიში ვეგეტაციის მიხედვით საშუალო საადრეოა.გამორჩევა უხვმოსავლიანობით და საუკეთესო ხარისხის ბოლქვით, ამ მხრივ ადგილობრივი მომხმარებლის დიდ მოწონებას იმსახურებს.ივითარებს მრგვალ, ყელისკენ ოდნავ შევიწროებულ მრავალბუდიან ბოლქვს, რომელსაც გარეთა მშრალი ქერქლები მოვარდისფო-წითელი აქვს, ხოლო შიგნითა წვნიანი ქერქლები – მოთეთრო ღია იისფერი.ეკუთვნის ნახევრად ტკბილი ხახვების ჯგუფს.გამორჩევა საშუალო შენახვისუნარიანობით.სოკოვანი დაავადებების და მავნებლების მიმართ გამძლეა.</p>

ცხრილი A1: მარჟინალური მოგების გაანგარიშება (თავიანი ხახვის მოყვანა ბოლქვის თესვისას - ექსტენსიური მეთოდი)

შემოსავლები (მოსავლის რეალიზაცია)							ლარი/ჰა
მოსავალი (სასაქონლო სახის მიხედვით)	100%	25,000					
საშუალო (სტანდარტი)	70%	17,500	კგ/ჰა	x	0.40	ლარი/კგ =	7,000
მსხვილი	30%	7,500	კგ/ჰა	x	0.30	ლარი/კგ =	2,250
წვრილი	0%	-	კგ/ჰა	x		ლარი/კგ =	-
<b>შემოსავლები სულ</b>							<b>9,250</b>
დანახარჯები (წარმოების ხარჯები)							ლარი/ჰა
<b>სათესლე მასალა</b>							
საკუთარი			კგ/ჰა	x		ლარი/კგ =	-
შეძენილი		880.0	კგ/ჰა	x	2.80	ლარი/კგ =	2,464
<b>სასუქები</b>							
სასუქი (NPK 8:24:24)		250.0	კგ/ჰა	x	1.45	ლარი/კგ =	363
სასუქი (NPK 13:0:45)			კგ/ჰა	x	5.50	ლარი/კგ =	-
ამონიუმის გვარჯილა (34.4 %)		200.0	კგ/ჰა	x	0.90	ლარი/კგ =	180
<b>პესტიციდები</b>							
ჰერბიციდები		1.5	ლ/ჰა	x	30.00	ლარი/ლ =	45
ფუნგიციდები		4.0	კგ/ჰა	x	35.00	ლარი/კგ =	140
ინსექტიციდები		2.0	ლ/ჰა	x	40.00	ლარი/ლ =	80
<b>ტექნიკის მომსახურება</b>							
ნიადაგის მოხვნა 28-სმ სიღრმემდე		1.0	- ჯერ	x	150.00	ლარი/ჰა =	150
ნიადაგის დამუშავება დისკობიანი ფარცხით		1.0	- ჯერ	x	70.00	ლარი/ჰა =	70
სასუქის შეტანა გამფანტველით		3.0	- ჯერ	x	15.00	ლარი/ჰა =	45
ხნულის ფრეზირება (ვერტიკალური ფრეზით)		1.0	- ჯერ	x	190.00	ლარი/ჰა =	190
ხნულზე ბაზოს წარმოქმნა		1.0	- ჯერ	x	150.00	ლარი/ჰა =	150
პესტიციდების შეტანა		15.0	- ჯერ	x	16.00	ლარი/ჰა =	240
მოსავლის ტრანსპორტირება		4.0	- ჯერ	x	30.00	ლარი =	120
<b>საკუთარი ტექნიკის დანახარჯები</b>							
სატრანსპორტო საშუალება		8.0	- ჯერ	x	8.00	ლარი =	64
წყლის პომპა (საწვავის ხარჯი მორწყვისას)		5.0	- ჯერ	x	12.00	ლარი =	60
<b>შრომა</b>							
დაქირავებული		40.0	კაც-დღე	x	25.00	ლარი	1,000
საკუთარი		5.0	კაც-დღე	x	25.00	ლარი	125
<b>სხვა დანახარჯები</b>							
ბადე ტომრები		833.0	ცალი	x	0.40	ლარი/ც =	333
გაუთვალისწინებელი ხარჯი		0.1					291
სარწყავი წყლის გადასახადი	100%		- ჯერ	x	70.00	ლარი =	70
დაზღვევა							-
<b>დანახარჯები</b>							<b>6,180</b>
<b>მარჟინალური მოგება</b>							<b>3,070</b>
<b>თვითღირებულება (ლარი/კგ)</b>							<b>0.25</b>

წყარო: შ.გონგლადის ეკონომიკური გაანგარიშებები, თავიანი ხახვის მოყვანა, ატმის და კაკლის ბალის გაშენება, 2016

ცხრილი A1: მარჟინალური მოგების გაანგარიშება (თავიანი ხაზვის მოყვანა თესლით თესვისას - ინტენსიური მეთოდი)

შემოსავლები (მოსავლის რეალიზაცია)							ლარი/ჰა
მოსავალი (სასაქონლო სახის მიხედვით)	100%	60,000	კგ/ჰა				
საშუალო (სტანდარტი)	60%	36,000	კგ/ჰა	x	0.40	ლარი/კგ =	14,400
მსხვილი	20%	12,000	კგ/ჰა	x	0.30	ლარი/კგ =	3,600
წვრილი	20%	12,000	კგ/ჰა	x	0.30	ლარი/კგ =	3,600
<b>შემოსავლები სულ</b>							<b>21,600</b>
დანახარჯები (წარმოების ხარჯები)							ლარი/ჰა
<b>სათესლე მასალა</b>							
საკუთარი			კგ/ჰა	x		ლარი/კგ =	-
შემენილი		5.0	კგ/ჰა	x	400.00	ლარი/კგ =	2,000
<b>სასუქები</b>							
სასუქი (NPK 8:24:24)		200.0	კგ/ჰა	x	1.45	ლარი/კგ =	290
სასუქი (NPK 13:0:45)		220.0	კგ/ჰა	x	5.50	ლარი/კგ =	1,210
ამონიუმის გვარჯილა (34.4 %)		350.0	კგ/ჰა	x	0.90	ლარი/კგ =	315
<b>პესტიციდები</b>							
ჰერბიციდები		2.5	ლ/ჰა	x	30.00	ლარი/ლ =	75
ფუნგიციდები		4.0	კგ/ჰა	x	35.00	ლარი/კგ =	140
ინსექტიციდები		2.0	ლ/ჰა	x	40.00	ლარი/ლ =	80
<b>ტექნიკის მომსახურება</b>							
ნიადაგის მოხვნა 28-სმ სიღრმემდე		1.0	- ჯერ	x	150.00	ლარი/ჰა =	150
ნიადაგის დამუშავება დისკოების ფარცხით		1.0	- ჯერ	x	70.00	ლარი/ჰა =	70
სასუქის (NPK) შეტანა გამფანტველით		1.0	- ჯერ	x	15.00	ლარი/ჰა =	15
ხნულის ფრეზირება (ვერტიკალური ფრეზით)		1.0	- ჯერ	x	190.00	ლარი/ჰა =	190
ხნულზე ბაზოს წარმოქმნა		1.0	- ჯერ	x	150.00	ლარი/ჰა =	150
ხაზვის თესვა		1.0	- ჯერ	x	170.00	ლარი/ჰა =	170
პესტიციდების შეტანა		16.0	- ჯერ	x	16.00	ლარი/ჰა =	256
მოსავლის ტრანსპორტირება		10.0	- ჯერ	x	30.00	ლარი =	300
<b>საკუთარი ტექნიკის დანახარჯები</b>							
სატრანსპორტო საშუალება		8.0	- ჯერ	x	8.00	ლარი =	64
წყლის პომპა (საწვავის ხარჯი მორწყვისას)		10.0	- ჯერ	x	12.00	ლარი =	120
<b>შრომა</b>							
დაქირავებული		55.0	კაც.დღე	x	25.00	ლარი	1,375
საკუთარი		5.0	კაც.დღე	x	25.00	ლარი	125
<b>წვეთოვანი სარწყავი წვრილი მილები</b>		<b>12,000.0</b>	<b>მეტრი</b>		<b>0.10</b>	<b>ლარი/მ</b>	<b>1,200</b>
<b>სხვა დანახარჯები</b>							
ბადე ტომრები		2,000.0	ცალი	x	0.40	ლარი/ც =	800
გაუთვალისწინებელი ხარჯი		0.1					455
სარწყავი წყლის გადასახადი		100%	- ჯერ	x	70.00	ლარი =	70.00
დაზღვევა							-
<b>დანახარჯები</b>							<b>9,620</b>
<b>მარჟინალური მოგება</b>							<b>11,980</b>
<b>თვითღირებულება (ლარი/კგ)</b>							<b>0.16</b>

წყარო: შ.გონგლადის ეკონომიკური გაანგარიშებები, თავიანი ხაზვის მოყვანა, ატმის და კაკლის ბაღის გაშენება, 2016